ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N40

2023 წელი; 12:00 სთ; 5 დეკემბერი.

ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
ნინო რუხაძე
აკაკი ალადაშვილი
კახაბერ ლაბუჩიძე
არჩილ გორდულაძე
დავით ფარცვანია

მოწვეული პირები:

- **სერგო ბირკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;

- **ჯუბა ყანდარელი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე; სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილების, აგრეთვე, ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილების კურატორი;

- **გიორგი ნამგალაური** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე; თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მომსახურების განყოფილების კურატორი;

- **სალომე ღვინეფაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე; სამართლებრივი აქტების მომზადებისა და ექსპერტიზის განყოფილების, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილების კურატორი.

სხდომის თავმჯდომარე:
ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

- ✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის 01.01.2023 – 30.11.2023 წლის საქმიანობის ანგარიშის მოსმენა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ღონისძიების დაწყებამდე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა, ანგარიშის მოსმენასთან დაკავშირებით გამართულ სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებს, აგრეთვე, სხდომაზე მოწვეულ პირებს სიტყვით მიმართა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსისა და სამსახურის შემადგენლობისადმი მადლიერების/პატივისცემის გამოხატვისა და თანამშრომლობის დადებითად შეფასების მიზნით.

ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ, იურიდიულ საქალაქო სამსახურთან, მიმდინარე წლის მანძილზე და არამარტო - დაგროვილი, მჭიდრო და ნაყოფიერი სამსახურებრივი კომუნიკაციის თაობაზე, რომელსაც გააჩნია, წარმატებული მუშაობის შედეგად მიღებული და მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტები, მნიშვნელოვანი და ქმედითი ხასიათის მქონე სამუშაო შეხვედრები და სხვა გამართული ღონისძიებები.

კომისიის თავმჯდომარემ პატივისცემა გამოხატა იურიდიული საქალაქო სამსახურის სამსახურის შემადგენლობის მიმართ და აღნიშნა, რომ მათი პროფესიონალიზმი უზრუნველყოფს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შესაძლებლობას - ჰქონდეს ეფექტური კომუნიკაცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის აღნიშნული სტრუქტურულ ერთეულთან, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, დაკისრებული უფლებამოსილების/ვალდებულებების, სისტემური თვალსაზრისით, ხარისხიანად შესრულებისა.

კომისიის თავმჯდომარემ მითითებული შეფასების შემდგომ, ისაუბრა საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი თვითმმართველობის განმახორციელებელი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებების თაობაზე, რომლებიც, მისთვის დადგენილია ამავე სამართლებრივი აქტების შესაბამისად და აღნიშნული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, იგი უფლებამოსილია, მათ, შორის განახორციელოს, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფარგლებით - გაუწიოს კონტროლი აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობას, აგრეთვე, უზრუნველყოს სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული ღონისძიებები.

კომისიის თავმჯდომარემ, შესავალი სიტყვის ნაწილში, გამართული შეხვედრის სამართლებრივ საფუძვლებზე საუბრისას, ყურადღება გაამახვილა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა" ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებაზე, რაც გულისხმობს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოსთვის, კანონმდებლობით მინიჭებულ ღონისძიებას -

- მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის სფეროში, მათ, შორის, გააჩნდეს სამართლებრივი ბერკეტი - მოისმინოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის ანგარიშები და აღჭურვილი იყოს აღნიშნულთა შეფასების უფლებამოსილებითაც.

ლევან ჟორჟოლიანის სიტყვის შემდგომ, კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს ასევე მიმართა იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ. დამსწრე პირებმა კვლავ სამადლობელი ხასიათის მოხსენება მოისმინეს, რითაც, სერგო ბირკაძემ პატივისცემა გამოხატა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის, კომისიის შემადგენლობისა და იურიდიული საქალაქო სამსახურის გუნდის მიმართ. მისივე შეფასებით, სამუშაო წელი იყო ძალიან ეფექტურად წარმართული, კვალიფიციური გუნდისა და იურიდიულ საითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიასთან წარმატებული თანამშრომლობის შედეგად.

სერგო ბირკაძემ, ანგარიშის დასაწყიში, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, იურიდიული საქალაქო სამსახურის მნიშვნელობას, უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების საზღვრებს. მისივე მითითებით, იურიდიული საქალაქო სამსახური, რომელიც ანგარიშვალდებულია თბილისის მერისა და თბილისის მთავრობის წინაშე, მოქმედებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", აღნიშნული სამსახურის დებულების, სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე/მათ შესასრულებლად და როგორც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს თბილისის მერიის **სამართლებრივ უზრუნველყოფას,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი **სამართლებრივი აქტების სრულყოფის ხელშეწყობას,** თბილისის მერიის **წარმომადგენლობას სასამართლოში** და სამსახურის ფუნქციებიდან გამომდინარე, სხვა საკითხების გადაწყვეტას.

შესავალი სიტყვის შემდგომ, სერგო ბირკაძემ კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს გააცნო, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის 01.01.2023 – 30.11.2023 წლის საქმიანობის ანგარიში, შემდეგი თემატიკით:**

- **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის ამოცანები, ფუნქციები და სტრუქტურა:**

სერგო ბირკაძემ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის (შემდგომში - სამსახური) ამოცანებზე საუბრისას, აღნიშნა, რომ მითითებულს განეკუთვნება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდეგში - თბილისი) მერის და თბილისის მთავრობის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულების და თბილისის რაიონის გამგეობების კონსულტირება სამართლებრივ საკითხებზე, აგრეთვე, თბილისის მერიისა (გარდა თბილისის რაიონის გამგეობებისა) და თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წარმომადგენლობა სასამართლოში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა.

სამსახურის ძირითად ფუნქციებზე საუბრისას, სერგო ბირკაძემ, ჩამოთვალა ის ძირითადი ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებს სამსახური, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, კერძოდ:

✓ **თბილისის მერის და თბილისის მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, სამართლებრივი ექსპერტიზა და ვიზირება;**

✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების სრულყოფის შესახებ წინადადებებისა და პროექტების მომზადება;

✓ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების სრულყოფის შესახებ კონფერენციებში, განხილვებში და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა;

✓ სამსახურში შემოსული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და სხვა დოკუმენტების (ასევე დოკუმენტების პროექტების) სამართლებრივი ანალიზი და მათი სრულყოფის თაობაზე წინადადებების მომზადება;

✓ თბილისის მერიისა (გარდა თბილისის რაიონის გამგეობებისა) და თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წარმომადგენლობა სასამართლოში (კომპეტენციის ფარგლებში);

✓ თბილისის მერიაში შემოსული ადმინისტრაციული საჩივრების განხილვა (ზეპირი მოსმენის გამართვა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში და შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

✓ საჯარო ინფორმაციის გაცემა, თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება და საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ანგარიშების წარდგენა;

✓ სამსახურში შესული კორესპონდენციის, საჩივრებისა და მიმართვების განხილვა

✓ თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების (გარდა, საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) ნებართვის გაცემის, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის და სამშენებლო-სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შეთანხმების, გაცემული ნებართვების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების საბოლოო ანგარიშების მიღების თაობაზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე თბილისის მერიაში შემოსული საჩივრების განხილვა;

✓ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

ზემომითითებული მიმოხილვის შემდგომ, სერგო ბირკაძემ, ისაუბრა, სამსახურის შემადგენლობაში არსებული შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფების თაობაზე:

✓სამართლებრივი აქტების მომზადებისა და ექსპერტიზის განყოფილება;

✓სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილება;

✓ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილება;

✓საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილება;

✓თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მომსახურების განყოფილება.

❖ სამსახურის სტრუქტურა და მათი საქმიანობის ანგარიში

სამსახურის სტრუქტურული ერთეულების ჩამოთვლის შემდგომ, სერგო ბირკაძემ, კომისიის წევრებს, დეტალური ანგარიშის სახით, წარუდგინა, თითოეული, ზემოაღნიშნული განყოფილების მიერ, საანგარიშო პერიოდის მანძილზე განხორციელებული ღონისძიებები, შემდეგი მოცემულობით:

1. სამართლებრივი აქტების მომზადებისა და ექსპერტიზის განყოფილება, რომლის მიერ მომზადდა ან/და ექსპერტიზა ჩაუტარდა 2600-ზე მეტ სამართლებრივი აქტის (გარდა საკანონმდებლო აქტისა) პროექტს, მათ შორის:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2010 განკარგულების პროექტს, მომზადებულს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი/უძრავი ქონების განკარგვა ან სარგებლობის უფლებით გადაცემა;
- მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა;
- თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული, ასევე, სხვადასხვა იურიდიული პირების დაფინანსება;
- თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში მოქალაქეთა ფინანსური დახმარების (ქირით უზრუნველყოფა/ სოციალური დახმარება და სხვა.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 530-ზე მეტი ბრძანების პროექტს, წარმომადგენლობით ხარჯებთან, ძეგლების/მონუმენტების/მემორიალურის დაფების განთავსების მიზანშეწონილობასთან, სამუშაო ჯგუფების/კომისიების შექმნასთან, მერის სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების/განკარგულების დაახლოებით 130-ზე მეტ პროექტს, მერიის სტრუქტურული ერთეულების სტრუქტურულ და ფუნქციურ ცვლილებებთან, თბილისის ტერიტორიაზე ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლებასთან მიმართებით, მათ შორის, ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლების მარეგულირებელი წესის შემუშავების, ქალაქის ურბანული განვითარების, მუნიციპალური ნარჩენების მართვასთან, გარემოს დაცვასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით;

მომხსენებლის განმარტებით, სამართლებრივი აქტების მომზადებისა და ექპერტიზის განყოფილების მიერ, ასევე, საანგარიშო წლის განმავლობაში, მომზადებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილების/განკარგულების პროექტები, სამშენებლო საქმიანობის/ტექნიკური უსაფრთხოების რეგულირების წესების, ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარების, აგრეთვე. საზოგადოებრივი ღონისძიებების განხორციელების ხელშემწყობის, სამშენებლო საქმიანობის/ტექნიკური უსაფრთხოების რეგულირების წესების და სხვა ღონისძიებების რეგულირების მიმართულებით.

სერგო ბირკაძის მითითებით, **მაღალი კერძო და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, მომზადებულ იქნა მათ შორის, შემდეგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები:**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული და ფუნქციური რეორგანიზაცია;
- მოქალაქეთათვის, მათ მიერ მრავალი წლის მანძილზე სარგებლობაში არსებული ბინების დაკანონების პროცესი;
- დედაქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის ცვლილებები;
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან დასადები სასესხო, საგრანტო და საკონსულტაციო ხელშეკრულებების ექსპერტიზა და სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- ზონალურ პარკირებასთან დაკავშირებული რეგულაციები;
- კოოპერატიულ ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირთა მიმართ არსებული სახელმწიფო ვალდებულების აღსრულების წესების შემუშავება;
- დანგრეული სახლების მაცხოვრებლების ქირით დახმარების, ახლად შემოერთებული ტერიტორიების გაზიფიცირებისა და წყალმომარაგების წესების პროექტების შემუშავება;
- სოციალური კუთხით მარეგულირებელი წესების პროექტების შემუშავება;
- დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის დადგენილი ხელშემწყობი ღონისძიებები;
- თბილისის ტერიტორიაზე ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლების ხელშემწყობი ღონისძიებები.

სერგო ბირკაძე ასევე მიუთითა, რომ გარდა ზემოაღნიშნული ღონისძიებებისა, ასევე მომზადებულ იქნა ცვლილების თაობაზე პროექტები ან/და ექსპერტიზა ჩაუტარდა შემდეგ საკანონმდებლო აქტებს:

- **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“** - აკუსტიკური ხმაურის მარეგულირებელ ნორმებთან დაკავშირებით; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სატრანსპორტო სისტემის პოლიტიკის რეგულირების მიმართულებით, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შინაური ცხოველის ყოლის წესთან და სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით;
- **„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“** - რიგ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ჯარიმების ოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით, ასევე, გარკვეულ შემთხვევაში, კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე სანებართვო პირობების დარღვევით სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებასთან მიმართებით, საკანონმდებლო დებულებების დახვეწის თაობაზე, კონსერვაციის წესის დარღვევის საკითხების ცვლილებასთან დაკავშირებით;

- **„საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონი და „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“** - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანმდევი კანონპროექტების მომზადების მიზნით;

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული განყოფილების მიერ, ჩატარებულ იქნა სხვა უწყებებიდან შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტების ექსპერტიზა და განხილულ იქნა მოქალაქეთა განცხადებები. სერგო ბირკაძემ **ასევე, ისაუბრა სამსახურის უფლებამოსილების მიკუთვნებულ შემდეგ ღონისძიებებთან დაკავშირებით:**

- **ონლაინ პლატფორმა, პროექტი „შენი იდეა ქალაქის მერს“** - *(ღია მმართველობის* პარტნიორობის ფარგლებში (OGP), 2018 წლის თებერვლიდან, ამოქმედდა პროექტი -**„შენი იდეა ქალაქის მერს“**, რომლის ფარგლებშიც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, idea.tbilisi.gov.ge ვებ-გვერდის მეშვეობით, დააფიქსიროს ქალაქისათვის მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე საკუთარი იდეა. თბილისის მოსახლეობის მხრიდან სათანადო ხმების (2500 ხმა) დაგროვების შემთხვევაში, იდეა განსახილველად ეგზავნება მერს);

- **პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია, რომელიც,** საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 23 ივნისის N139 ბრძანებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე, უფლებამოსილებას ახორციელებს მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, კერძოდ, ,,კომისია ადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ან/და კონკრეტულ დღეს ყოფნის ფაქტს და გასცემს შესაბამის ცნობას, რითაც შესაძლებელია დადგინდეს ერთ-ერთი ან შემდეგი რამდენიმე გარემოება:

ა) ,,საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოში ჯამურად არანაკლებ 5 წლის განმავლობაში ცხოვრების ფაქტი;

ბ) ,,საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში 1993 წლის 31 მარტის მდგომარეობით საქართველოში ყოფნის/ცხოვრების ფაქტი;

გ) ,,საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში 1991 წლის 21 დეკემბრის შემდეგ საქართველოს ტერიტორიის დატოვების ფაქტი. “

მომხსენებლის მითითებით, ზემოაღნიშნულმა კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე, საანგარიშო პერიოდში, განიხილა, როგორც სსიპ - სახელმწიფო სერვისებიდან გადმოგზავნილი, ასევე დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე **შემოსული 95** განცხადება და ჩაატარა **23 სხდომა.**

2. „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილება“

სამართლებრივი აქტების მომზადებისა და ექსპერტიზის განყოფილების საქმიანობის ანგარიშის წარმოდგენის შემდგომ, **სერგო ბირკაძემ კომისიის წევრებს გააცნო „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილების“** მიერ განხილული განცხადებების სტატისტიკა და დაინტერესებულ პირთა მიერ წარდგენილი განცხადებების ზოგადი თემატიკა, შემდეგი სახით:

ინფორმაციის მოთხოვნაზე ქმედების შინაარსი		რაოდენობრივი მაჩვენებელი
1	საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების რაოდენობა	2379
2	საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით შემოსული განცხადებების რაოდენობა	0
3	საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული სრულყოფილად დაკმაყოფილებული განცხადებების რაოდენობა	1481
4	საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული ნაწილობრივ დაკმაყოფილებული განცხადებების რაოდენობა	16
5	საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების რაოდენობა, რომლებშიც განმცხადებლის მოთხოვნა დასაზუსტებელი იყო	72
6	უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოებისათვის გადაგზავნილი განცხადებების რაოდენობა	381
7	საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების რაოდენობა, რომლებიც არ იძებნება მერიის სისტემის მონაცემთა ბაზებში	351
8	საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულ განცხადებებზე ვადის დაცვით გაცემული პასუხების რაოდენობა	
9	საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულ განცხადებებზე ვადის გადაცილებით გაცემული პასუხების რაოდენობა	
10	უარი საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანაზე	0
11	უარი ინფორმაციის გაცემაზე	78
12	საჯარო მოსამსახურეთა მიერ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის	0

	მოთხოვნების დარღვევის რაოდენობა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ ინფორმაცია	
13	კოლეგიური საჯარო დაწესებულებების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა	0
14	საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გასაჩივრებული გადაწყვეტილებების რაოდენობა	0
15	საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ	0

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მომსახურების განყოფილება

სტატიკის წარმოდგენის შემდგომ, სერგო ბირკაძემ დეტალური სახით ისაუბრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მომსახურების განყოფილების მიერ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის თაობაზე, შემდეგი სახით:

- ✓ 2023 წელს (იანვარი-ნოემბერი) ზემოაღნიშნულ განყოფილებაში გადაგზავნილ იქნა - სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილობითი მიმართვით - 872 განცხადება; თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში შესული - 516 განცხადება (სულ ჯამურად 1388 განცხადება);
- ✓ მომხსენებლის მითითებით, 2023 წელს (იანვარი-ნოემბერი) ჩატარდა 75 კომისიის სხდომა და განხილულ იქნა 4988 განცხადება, აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში გამოიცა კომისიის 3318 გადაწყვეტილება, განკარგულების სახით, აქვე დასძინა, რომ კომისიის სხდომები საშუალოდ იმართება კვირაში ორი დღე;
- ✓ მომხსენებელმა ასევე ყურადღება გაამახვილა, ზემოაღნიშნული კომისიის განკარგულებებით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგების თაობაზე, კერძოდ - **გაცემულ იქნა - 824 თანხმობის განკარგულება, 1934 - უარის თაობაზე განკარგულება, სხვადასხვა გადაწყვეტილებით - 600 და გადადების თაობაზე - 1903 ერთეული.**

✓ კომისიის სხდომების პარალელურად, კომისიის მიერ გამოიცემა განკარგულებები, ოქმები, საკუთრების უფლების მოწმობები, წარმოებს დათვალიერებები, ასევე, წარმოებს სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება.

4. სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილება

სერგო ბირკაძემ, კომისიის წევრებს, ასევე წარუდგინა, სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილების მიერ, საანგარიშო პერიოდის - 2023 წლის პირველი იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით, განხორციელებული საქმიანობის ანგარიში და წარმოადგინა შემდეგი სტატისტიკა:

- ✓ შემოსული საქმეების რაოდენობამ შეადგინა - 1083 ერთეული;
- ✓ მოგებული საქმეების რაოდენობამ - 401 ერთეული;
- ✓ წაგებული საქმეების რაოდენობამ - 170 ერთეული;
- ✓ სასამართლო უერთიერთობის განყოფილების წარმოებაშია - 3870 საქმე.

5. ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილება

სერგო ბირკაძის მითითებით, საანგარიშო პერიოდის - 2023 წლის პირველი იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების განყოფილებაში შესული **ადმინისტრაციული საჩივრების რაოდენობამ შეადგინა - 1791 ერთეული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, მათ, შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, მუნიციპალური ინსპექციის, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის, რაიონული გამგეობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და სხვათა მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების თაობაზე.

მომხსენებლის განმარტებით, მითითებული საანგარიშო პერიოდის მანძილზე, მიღებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) 1814 ბრძანება, ამათგან:

- საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე - 105 ერთეული;
- საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე-28 ერთეული;
- საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე - 1390 ერთეული;
- ნაწილობრივ განუხილველად დატოვების და ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე - 73 ერთეული;
- საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე - 166 ერთეული;
- ნაწილობრივ განუხილველად დატოვების და ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე - 3; სხვა სახის გადაწყვეტილებები - 49 ერთეული.

ანგარიშის წარმოდგენის შემდგომ, სერგო ბირკაძემ მადლობა გადაუხადა ყურადღებისათვის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას და მზაობა გამოთქვა შემდგომი, წარმატებული თანამშრომლობისა, რაც გაზიარებულ იქნა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თამთა კაკოიშვილი